საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა ნაციონალისტური პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 139

შაბათი, თებერვლის 4

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე იულონი და შვილი ლევო ჰკადუები აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ საორმოცო წირვა და პანაშვიდი პირველის ცოლის და მეორის დედის

ანასტასია (ტასოსი)

დანიშნულია მამადავითის ეკლესიაში კვირას, თებერვლის 5-ს 1922 წ. 11 საათზე.

198

ელისაბედ, ეფემია და ნინო ხელთუფლიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 თებერვალს, დიდუბეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის ყოფილი საქართველოს სენატის თავმჯდომარის

დავით ბესარიონის ძის ხელთუფლიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე.

გამოვიდა და იყიდება

„ცისფერი ყანწები"-ს პოეტების გაზეთი

„ბარრიკადი"

№ 6

შინაარსი:

დოსტოევსკი—ტიციან ტაბიძე.
ინფერნალი—ალი არსენიშვილი.
დოსტოევსკი—გრიგოლ რობაქიძე.
ვერხოვენსკი—ნიკოლო მიწიშვილი.
თავისუფალი ლექსი—შალვა აფხაიძე.
ლექსები: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, იოანე ყიფიანი, ლევან ასათიანი, ტრისტან კორბიერი.
ქრონიკა: ბიბლიოგრაფია: ვალოტონის მასკა დოსტოევსკის.
რედაქტორი ტიციან ტაბიძე.

ფასი 10 ათასი მან.

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
სრულიად საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის
კვირას, თებერვლის 5-ს.
შესდგება მორიგი მეშვიდე კვირა
მოხსენებებს „წაიკითხავენ
გრიგოლ რობაქიძე და ტიციან ტაბიძე

„ნიკოლოზ ლორთქიფანიძის პროზა"

სიტყვებს იტყვიან: გერონტი ქიქოძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პავლე იაშვილი, ა. არსენიშვილი და შალვა აფხაიძე.
დასწრება ყველას შეუძლიან.
შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

მასწავლებელთა ყრილობა

სოციალისტური კულტურის ძალთა სრულიად საქართველოს ყრილობაზე დიდი უმრავლესობა მასწავლებლობაა. ამიტომაა ჩვენ ამ ყრილობას მოკლედ მასწავლებელთა ყრილობას უწოდებთ. ყრილობის გახსნის წინა დღეს ჩვენ ამ ყრილობას სპეციალი წერილები უძღვენით. არ არის სხვა ძალა კულტურის დარგში იმდენი და ისეთი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენი რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმეში, რამდენიც მასწავლებლობას აქვს.

ყველამ შევიგნეთ ეს ჭეშმარიტება თუმცა ყველა ვერ ვაპყრობთ ამ ძალას სათანადო ყურადღებას. არავისთვის საიდუმლოება არ არის,—რომ დღევანდელს გაჭირვებულს ხანაში შეუძლებელიც არის საკმაოდ უზრუნველყოფა მასწავლებლობის და სკოლის, როგორც ეს ხსენებულ ძალისათვის საჭიროა და როგორადაც ეს ჩვენ გვესმის.

მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ღირსეული და ყურადღების მაქსიმუმი არ მიექცეს მასწავლებლობას. ჩვეულებრივად აქაც და მასწავლებლობაც დღეს სხვისი შემყურეა, ვიდრე გარეშე ძალამ უნდა გააკეთოს ის, რაც ყველა ჩვენთაგანის სურვილს შეადგენს. ნამდვილად კი თვით მასწავლებლების როლსა და მის ენერგიაზე ძალიან ბევრი არის დამოკიდებული.

ჩვენი მასწავლებლობა და მთელი ჩვენი ახალი თაობა დილეტანტია აღზრდით და ყოფაცხოვრებით. ზოგადი, საერთო, ფენომენური და ტრანსცენდენტური ხიბლავს მთელ თავის შემოქმედებას. გარეგნული ეფექტი, გრძნობათა ტოქვა და პროზელიტიზმი მათ ძვალსა და რბილშია გამჯდარი. ამიტომაა ჩვენში და მათში ნაკლები კრიტიკული აზროვნებაა, დამოუკიდებელი პოზიტიური და კონკრეტიული, სპეციალი და ტექნიკური დაკვირვება ნაკლებად გვეხერხება. ეს პირობაა მთელი ჩვენი მასის უფრო ობიექტად ქცევისა, ვიდრე აქტივიზმის და სუბიექტის მატარებელი.

მასწავლებელთა ყრილობაზე ეს თვისებები მთელი ჩვენი ინტელიგენციისა სავსებით გამომჟღავნდა. ჩვენ მივყვებოდით დიდ საქმიან მუშაობას, ორგანიულ შემოქმედებას, პედაგოგიკის და ცხოვრების ახალ მეთოდებით მიდგომას და აღსახვას. ნამდვილად კი ჩვენს წინაშე გაშალა მხოლოდ პოლიტიკურ დემონსტრაციებს მიეცა გასავალი და ამ დრომოჭმულმა ინსტიქტმა ისე წარიტაცა ყრილობის საჭირბოროტო ნაწილი, რომ შედარებით უმნიშვნელო მომენტების გამო სოფლიდან ჩამოსულებმა რუსთველის პროსპექტზე დაიწყეს სეირნობა ყრილობაში მხურვალე და დადებითი მუშაობის მაგიერ.

კარგი რომ ასეთი ელემენტი მეტად მცირე აღმოჩნდა ყრილობაზე: რა გვარი მდგომარეობაც არ უნდა იყოს საქართველოში მასწავლებლობის უწმინდესი და უმთავრესი მოვალეობაა ყოველს პირობებში ქართული სკოლის ბედი წინ დააყენოს და ახალგაზრდობას თანამედროვე კულტურის საკვები მასალა მიაწოდოს. სკოლა სავანეა ნაციონალ და ინტერნაციონალ კულტურისა, სკოლა ჩირაღდანია ჩვენი ცნობიერებისა. ყრილობა ამ უდიდეს განძის საზომი და რეგულატორია, იგი დირექტივების მიმცემია სკოლის ცოცხალი ძალებისათვის. ჩვენს მასწავლებლებისათვის, რომელთაც მაღალი ევროპის დაქანცვის გამო, დღეს კულტურის უახლესი მიმართულების შესწავლის საშუალება, ყრილობებს აქვს ერთი უმთავრესი მნიშვნელობა. იგი მარტო მდგომარეობის ილიუსტრაცია კი არაა, გონების აქტიობაა და ახალი ჰორიზონტების გახსნაა. მასწავლებლობის ნაწილი კი სეირნობს თავისი მდგომარეობის ანალიზის ნაცვლად, ახალ მეთოდების წარმოდგენის მაგიერ! მუშაობის შედეგიც, ახალთაობის და სკოლის „სამსახურიც ასეთი უნდა? ჩვენ გულისტკივილით აღვნუსხავთ ზოგიერთ ძალის ასეთ საქციელის გამო. ისტორია არც ახლა იწყება და არც თავდება. მისთვის ასეთი დილეტანტებისათვის შეკვეცილია მთელი თანამედროვე ძალთა განწყობილებით და დარწმუნებული ვართ, ვინც ამ ახალ ისტორიას დღეს თავისი სიბეცით გვერდს უვლის და შორიდან უცქერის, მას იგი ისტორია სამუდამოთ გარიყავს, მაგრამ [illegible] სკოლის და კულტურის სფეროებიდან.

მასწავლებლობის დიდი უმრავლესობა საქმიან მუშაობას შეუდგა. მათ ახალი სკოლის შექმნა აქვს მიზნად დასახული. ჩვენ ამ ძალებთან ვართ და მათთან ერთად ვცდილობთ მასწავლებელთა საერთო მდგომარეობას გაუმჯობესობის გზით საერთო კულტურული დონე ჩვენი მიუქმედელი ცხოვრებისა აღვადგინოთ და განვავითაროთ...

მაგრა.

უნუგეშო პერსპექტივების უილაჯობა

(დასასრული).

ცხოვრების წიაღიდან წარმოშობილმა სინამდვილემ გახეთქა მარქსის თეორია. ამას თვით ქ. კაუცკი აღიარებს. იგი ამბობს: „ხოლო საერთაშორისო მდგომარეობამ რუსეთის რევოლუციის მატარებლად ანტიბურჟუაზიული *) პროლეტარები და ინტელიგენტები გახადა. ეს გარემოება წინასწარ ვერ გაითვალისწინა მარქსისტულმა თეორიამ, ვინაიდან ეს თეორია დასავლეთ ევროპის ურთიერთობაზე აღმოცენდაო". ერთი სიტყვით, აქამდის ჩაგვჩიჩინებდა ეს დოქტორი ტიბეტური მისნობისა, რომ მარქსმა მთელი კაცობრიობის განვითარების უცვლელი კანონები დაადგინა. ახლა კი გვეუბნება, რომ ასეთი დიდი მოვლენის წინაშე, როგორიც არის რუსეთის დიდი რევოლუცია, ამ თეორიამ დაიჩოქა და ვერაფერიც გაუგოო. მეტი-და გათახსირება თეორიისა შეიძლება! რუსეთის რევოლუცია ბობოქრობს, ღრმავდება და ძლიერდება, ეს კი უკან ექაჩება და ეუბნება: შესდექ, მოთავსდი მარქსის თეორიის ნაჭუჭში და იქეც წმინდა წყლის ბურჟუაზიულ რევოლუციათ. მაბლას!

ბოლოს ერთიც უნდა აღვნიშნო, როგორც დამახასიათებელი ხიბუში კარლ კაუცკისა და საზოგადოთ ყოველი გერმანელის მედიდურობისა, რადგან ყოველი გერმანელი ძალიან დიდი შეხედულებისაა თავის თავზეც და თავის ერზედაც. ყოველ გერმანელს თავისი თავი და თავისი ერი წარმოუდგენია, როგორც ლამპარი კაცობრიობისა, როგორც დიდი ჩირაღდანი, რომელიც კაცობრიობას წინ სავალელ გზას მიუნათებს და ეს კაცობრიობაც მხოლოდ ამ ჩირაღდნის სინათლეს უნდა მისდევდეს. ასე ფიქრობდა ჰეგელი, როცა იმ ლურტყსა და უგვან აზრს გამოთქვამდა, რომ მსოფლიოს ისტორიულმა სულმა ბოლოს ძლიერებათა გერმანიის ერში და ეს ერი იქნება აწი მოწინამძღვრე მთელი კაცობრიობისა. ამგვარსავე აზრს იზიარებდა თვით ფ. ლასსალიც. კარლ მარქსი კი ხომ ვერ იტანდა იმის მოსმენას, რომ სლავიანები ოდესმე ან როდისმე რაიმე მოწინავეობის როლს ითამაშებდნენ. მას ეს არ სწამდა და ამიტომაც უდრეკად ებრძოდა ბაკუნინს. მაგრამ ასეთ სულის კვეთებში ცხადად გამოსჩანს ის რასული მეტოქეობა და შეტოკება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიული ცხოვრების გამოვლინებაში სლავიანების და გერმანელი ერის შორის, ეს ჩვენი და მამული შოვინიზმია, მეტი არაფერი. ასეთსავე მედიდურობის გრძნობას გაეტაცებინა გერმანიის მთელი ერი ამ მსოფლიო ომის დროს და იგი მართალა დარწმუნებული იყო, რომ ამ ომს მოიგებდა და ამით მთელ კაცობრიობას თავის პოლიტიკურსა და სოციალურ განწყობილებას, რომელიც ყველა არსებულ დესპოტიზმზე რეაქციონური და უაზრო იყო, თავს მოახვევდა. მაგრამ ამ ბანოთ მას ბედი არ დაუჯდა და ამ მედიდურობისათვის საკადრისი გაილხა.

კარლ კაუცკიც ასეთი სულისკვეთებით არის დაავადმყოფებული. რომ ეს ასეა, ეს შემდეგი იმის სიტყვებიდან ცხადად სჩანს: „გერმანია კი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელიც თავის მაღლით განვითარებული კაპიტალიზმით და პროლეტარიატით მოწოდებული არიან (განგებისაგან?) გზა უჩვენონ და უწინამძღვრონ სხვა ქვეყნებს სოციალიზმისაკენ მსვლელობაში. და სანამ გერმანიის წინსვლა შეფერხებულია, ვერც მსოფლიო გაივლის ამ გზას დიდ მანძილს", ასეთსავე მედიდურობას გრძნობდნენ საბერძნეთი და რომი სხვა ერების წინაშე და ეგონათ, რომ ესენი იქნებოდნენ მოჩირაღდნენი და მოწინამძღვრენი ამ ერებისა ყოველ საქმეში და ყოველთვის. ამათ სწამდათ, რომ სხვა ერები ბარბაროსები იყვნენ და ცივილიზაციისა და კულტურის მშვენიერებასა და სხივ-მფენობას ვერ ეზიარებოდენ, ვერ მიიღებდენ. თუ რომ ამათ თავს ძალათ არ მოახვევდა ამ ცივილიზაციისა და კულტურას საბერძნეთი ან რომი, მაგრამ ისტორიამ გვიჩვენა, რომ უბრალო ურიასტანში აღმოცენდა და დაიბადა ახალი სარწმუნოება—ქრისტიანობა, რომელიც გავრცელდა საბერძნეთსა და რომში. ველურმა ევროპიელებმა გაანადგურეს განათლებული რომი და ამ რომის ნანგრევებზე აღმოაცენეს ახალი და უმაღლესი საფეხურები სოციალური ცხოვრებისა და მეცნიერებაც წინ წასწიეს.

ახლა კი ცხადია, თუ რატომ არის კარლ კაუცკი გულმოსული და გაბოროტებული ლენინზე. უკანასკნელმა არ მიიღო ლოცვა-კურთხევა კარლ კაუცკისა, არ აქცია რუსეთის ბლანდული რევოლუცია ბურჟუაზიულ რევოლუციათ და ამიტომ წინამძღვრობა და გზის მაჩვენებლობა გერმანიას ჩამოართვა და რუსეთს აკუთვნა. აი, ეს ჰკვრის პანაშის კარლ კაუცკის, რომ მისი ერი არ არის ის, რომელიც სულისკვეთებით და მაღალი [illegible] უწინამძღვრებოდეს სოციალური რევოლუციის განხორციელებასა და განმტკიცებას. ის კი არა, ამ რევოლუციის განადგურებას ც ჩილობს ვინ? რუსეთი?!.. ეს ხომ აუტანელია, ძირუდებელია და კარლ კაუცკიც არ აკლებს თავის კრულვასა და წყევლას ამ რევოლუციას. იგი გულის ტკენით თუ შეურიგდებოდა, რომ სოციალური რევოლუცია მოეხდინა ინგლისის ერს. ინგლისის ერის უპირატესობას, როგორც არის, აიტანდა კარლ კაუცკის შოვინიზმით გაჟღენთილი სული *) მაგრამ ეს სული ვერ იტანს რუსეთის ინიციატორობას ამ საკითხში და ეს სული სრულებით კარგავს მშვიდობიანობასა და შეთანხმებულობას. მაგრამ უთხრათ კარლ კაუცკის მის დასამშვიდებლად მისივე სიტყვები, ცოტა შეცვლით: „მაგრამ ცხოვრების აუცილებლობა უძლეველი რამ არის და მის წინააღმდეგ აღშფოთება ვერ გვიშველის".

ი. ფანცხავა.

---

*) ცხადათა სჩანს, რომ ეს ახალი ტიპის პროლეტარებია, რომელნიც კარლ კაუცკის რუსეთში აღმოუჩენია. მართალაც პროლეტარი თუა, იგი უეჭველად ანტიბურჟუაზიულია ყოველგან და ყოველთვის, და მასალამე რუსეთშიც. ამიტომ აქ ამ ეპითეტის „ხმარება ყოვლად უადგილოა და მიუღებელი.

*) ეს სული იმასაც კი ვერ შეურიგდებოდა, რომ საფრანგეთის მუშებს ჰქონოდათ ინიციატივა სოციალიზმის განხორციელების საქმეში, ვინაიდან ისეთ შემთხვევაში, სოციალიზმი ხომ რომანული რასის მუშებს უნდა განეხორციელებინათ. ეს კი დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა გერმანული რასისა. სწორედ ამიტომ კარლ კაუცკი, რაკი შეურიგდა იმ აზრს, რომ გერმანელი ერი ვერ აწყობს სოციალიზმს, ამ ინიციატორობას ისევ ინგლისის ერს აკუთვნებს, რადგან ინგლისელები უმთავრესად საქსებია, საქსები კი იგივე გერმანელებია. თუ ეს ჩვენი გამოთქმა არ ეთქმოდეს სერიოზულად კარლ კაუცკის მოსაზრებას, მაშინ გაუგებარია, რატომ ამბობს, რომ ინგლისის მუშები განახორციელებენ სოციალიზმს და არა ფრანგი მუშები. პირველნი ხომ უპროგრამონი არიან და ბურჟუაზიულ წინამძღოლებს არიან მიჩვეულნი, მეორენი კი ამ წინამძღოლობას დიდი ხანია ჩამოშორდნენ და პროგრამაც დიდი ხანია მიაკვლიეს. სხვა რომ არა იყოს რა, ალბათ ორიოდე წლის წინად ამ პროგრამის [illegible] საფრანგეთის მუშათა შორის [illegible] და ამ მუშების [illegible] თვალსაჩინო და [illegible] მეთაურთა, როგორიც იყო ჟან ჟორესი.

ახალი ამბები

— **ბირჟა.** უცხოეთის ვალიუტის კურსი ტფილისის კერძო ბირჟაზედ 2 თებერვალს (ათას მანეთებში):

სტერლინგი	1600
ფრან. ფრანკი	32—34
იტალ. ლირა	19
ოსმ. ქაღ. ლირა	260—268
„ (ლირა)	1650—1660
დოლარი	375—380
გერმანული მარკა	2,8

ბათომში (ათას მანეთებში):

	31 იანვარს.	1 თებ.
სტერლინგი	1520	1550
ფრანგ. ფრანკი	30,5	31
იტალ. ლირა	16,	16
ოსმ. ქაღ. ლირა	245	250
ოქრო (ლირა)	1400	1525
დოლლარი	365	375
გერმ.	2,4	2,4

— **საფლავების ძარცვა.** ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის ძიერ შეპყრობილია ბოროტმოქმედნი, რომელნიც ხოჯივანქის (სომხების სასაფ.) სასაფლაოზე სთხრიდნენ საფლავებს და სძარცვავდნენ მიცვალებულთა გვამებს.

— **რაბისის და პროფკავშირების შეერთებული ყრილობა.** 1 თებერვალს გაიხსნა შეერთებული ყრილობა განათლების ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირებისა. პრეზიდიუმში არჩეულია ამხ: ალექსანდროვი, კაკაბაძე, ქობულია, ძამძამაშვილი, მოლჩანოვი, თუმანოვი, ქანიშვილი, და [illegible]. კომუნისტური პარტიის ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. მ. ორაბელაშვილი. [illegible] მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible]. ორგანიზაციის შესახებ ამხ. მიქაძემ. 2 თებერვალს სტატისტიკის საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ჯუღელმა და თანამომხსენებამ ბუკიშვილმა.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში პ. მირიანაშვილის წერილში „ზაქარია ჭიჭინაძე ქართულ კულტურის [illegible]" შეპარულია შემდეგი შეცდომა:

დაბეჭდილია: ქართველობა არ გაუბედურებულიყო, უნდა იყვეს ქართველობა არ გაძლიერებულიყო [illegible]—[illegible] მოქმედების—მოქმედს.

რუსეთი

„მოსკოვი. 3 თებერვალი. ლონდონიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ ის ხელს არ შეუშლის გენუის კონფერენციას. გარდინგის აზრით შეერთებული შტატების ინტერესი კონფერენციისადმი განსაკუთრებულია თის გამო ამერიკის პოზიციის გამორკვევა [illegible] ძნელია.

მოსკოვი. 3 თებერვალი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ დაიწყო მოლაპარაკება ლორდ კერზონსა და გრაფ სენ-ოლერონს შორის ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებაზე. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით საფრანგეთის წარმომადგენელმა პუანკარესაგან მიიღო ვრცელი ინსტრუქცია, რომელიც საშუალებას აძლევს მას თავისუფალი მოქმედებისას.

მოსკოვი. 3 თებერვალი. ამ დღეებში ოდესაში გაიხსნება სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

უცხოეთი

ლონდონი. „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ იაპონიისა და საფრანგეთის პოლიტიკა გენუაში ფრიად საეჭვო იქნება. ამ სახელმწიფოს წარმომადგენელი ცდილობენ დაირღვეს გეგმა. ერთხი სახელმწიფოს [illegible]. საფრანგეთი აშკარად ხმას მისცემს ინგლისთან ერთად, ხოლო კულისებში მისი როლი ბნელი და საეჭვოა.

ლონდონი. 10 იანვარი. ამერიკის მხრივ სენატორმა იუზმა და იაპონიის მხრივ ადმირალმა კატომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალით ამერიკას ეთმობა იაპონიის კუნძულებზე წყნარ ოკეანესი თანასწორი უფლებით სარგებლობისა, იაპონიის კონტროლს გარეშე.

მეორე ტომი

გამოვიდა ი. გრიშაშვილის მეორე ტომი.

მეორე ტომი პოეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მეორე ტომით შეიძლება მგოსნის გაცნობა-დაფასება.

პირველ ტომში თქვენ ვერ მიიღებთ დასრულებულ ფიგურას, დასრულებულ ფანტაზიას პოეტური შემოქმედისა. პირველი ტომი შესავალია პოეტისათვის, როდესაც იგი „საცდელად" მომართულ კალამს აზმაურებს და შესაფერისად გამოაქვს თავისი შემოქმედება.

ი. გრიშაშვილის პირველი ტომი სრულებით სამართლიანად შეფასებულ იქნა და მწერლობისა და მწიგნობრობის მცოდნეთათვის ნათელი და გარკვეული გახდა ი. გრიშაშვილის განსაკუთრებული ადგილი ჩვენს პოეზიაში.

მეორე ტომი, რომელშიაც შედის 1914 წლიდან—1920 წლამდე ნაშრომი, საუკეთესო თაიგულია ი. გრიშაშვილის შემოქმედებისა. ვისაც სურს ნათელი წარმოდგენა იქონიოს ი. გრიშაშვილის პოეზიაზე, მის ადგილზე ჩვენს მწერლობაში, იგი უნდა გაეცნოს ი. გრიშაშვილის მეორე ტომს.

ამ ტომში ნათელი სურათია გადაშლილი ჩვენი საზოგადოების საყვარელი პოეტის შემოქმედებისა. მასშია ყოველივე რითაც შეიძლება შეფასდეს ი. გრიშაშვილი.

ჩვენ ამ მოკლე წერილში არ ვისახავთ მიზნად, თუ გნებავთ მოკლე ბიბლიოგრაფიულ შეფასებასაც კი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს წიგნი ძვირფასია ყოველი ქართველისათვის და ჩვენი პოეზიის მოყვარულთათვის.

Ser.

ისტორიული კონცერტი

სახ. I კონსერვატორია

ისტორიული კონცერტი, რომელიც შეიცავდა 17 და 18 საუკუნეს გერმანულ და იტალიეთის კომპოზიტორების ნაწარმოებებს, სახელმწიფო ოპერის მომღერლების ზალიპსკის და პოლიაევის გადმოცემაში დიდ ინტერეს იწვევდა არა მარტო თავის აღმზრდელობითი მნიშვნელობით, არამედ ხელოვნურის მხრითაც. ასეთი კონცერტების გამართვა უფრო მეტ ღირებულებას აძლევს ჩვენი საუკეთესო ვოკალისტებს და მათ მუსიკალურ გემოვნებას. პროგრამა და შესრულება თავის დანიშნულების უმაღლეს წერტილამდის იყო მიყვანილი და როცა ხედავდა კონსერვატორიის თითქმის ნახევრად ცარიელ დარბაზს, უნებლიეთ იკითხავდი—სადღა არის ტფილისის ნაქები მუსიკალობა? ან იქნებ საუცაბედოთ მოწყობილი cabarets უფრო იზიდავს ხალხს ვიდრე სერიოზული კონცერტები, ან იქნებ მძიმე მდგომარეობის გამო გაურბიან სერიოზულ ხელოვნების სადამოს, სადაც საჭიროა ჩაფიქრება და სილამაზის ხილვა? სამწუხაროა ასეთი მოვლენა, რადგან კონცერტი იყო სადამო უმაღლეს ესტეტიური სიამოვნებისა. კონცერტი, სადაც ასე რიგად დაცულ იქნა ნამდვილ კლასიკების პროგრამა, თითქმის პირველია ტფილისში. ისეთ შემსრულებელთაც კი, როგორც არიან ოლენინა, დ'ადელგეიმი და კოშიცი, პროგრამა ისე არ იყო დაცული, როგორც ახლა. დეე, გამოჩენილ კომპოზიტორების ნაწარმოებნი არ შეეფერებოდეს ახლანდელ აუდიტორიის მოთხოვნილებებს, დეე, ისინი უბრალო იყოს ფორმით, თუ გინდ ზოგჯერ გულუბრყვილოც შინაარსით, მაგრამ მათში აუცილებლად არის სილამაზე და მიმზიდველობა—რა კარგია ბეთხოვენის სიმღერა „ახალი სიყვარული" თავის „უშუამავლობით, ხოლო largo გენდელის ორატორიიდან „ქსერქსი" ეს ხომ დაუსრულებელი სილამაზეა „spheren musik", მოცარტის მუსიკა დონჟუანიდან? ან მისტიციზმით სავსე სტრადელის არია, დაუმჭკნარი მუსიკა როსინისა? დიახ, ეს სილამაზე ამაღლებული კი არ არის, არამედ ამაღელვებელია მიუხედავად მათი მუსიკალური ფაქტურის სიმარტივისა. შესრულებაც ძნელია სწორედ ამ სიმარტივის გამო. ეს გათვალისწინებული ჰქონდათ შემსრულებელთ, როცა უკვდავ ხელოვანთა ნაწარმოებთ სასტიკად დაცული სტილით ასრულებდნენ. განსაკუთრებით დასრულებული სახით იქნა შესრულებული largo ქსერქსიდან—გენდელის, Sanctus et Benedictus—ბეთხოვენის არია ოპერიდან „ფიგაროს ქორწილი"—მოცარტის—პოლიაევის მიერ.

„ახალი სიყვარული" — ბეთხოვენის, არია ოპერიდან „ორფეი" გლუკის, „არია"—სტრადელის—ზალიპსკის მიერ.

„ორივე მომღერლის შესრულება ბრწყინავდა შესამჩნევი იტალიანური bel-canto-თი, დიდებული სკოლით და ტექნიკით.

სასურველია გაგრძელება შუბერტის, შუმანის, რუს და ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან.

ორივე მსახიობს ოვაციებს უმართავდნენ,

კარგად აძლევდნენ აკომპანიმენტს მოქ. ზალიპსკისა და ფლოროვი.

პ. ბ.

ანათემა

ვით ანათემა, დავშლ მალვით, კავკასიონზე;—
თვით ანათემა, მრავალ კრიალვით, კამკამ სიონზე.

*

დროში, ცით ელვარ იად, ფრიალებს მზის შნოებზე;—
დრო, შავ-წითელ არიად, გრიალებს მზის შტოებზე.

*

ვდგევარ მატურად, შეჩვენება, ნგრეულ ქუჩებზე;—
ვგევარ—მაცდურად—ზე ჩვენებას, რეულ ურჩებზე.

*

ამაყი თქმა, ითლება, ანძად, უთრობ აფრებზე;—
ომახი ხმა, იშლება, ანცად, უქრობ ზღაპრებზე.

*

ფერად ციება, ვჩივი რხევას, ველს მსრბოლ სიოზე;—
მდერად ძიება, ვყივი წყევას, ძველს მსოფლიოზე.

ხეზმან ერთაწმინდელი

სასურსათო გადასახადის კომპანია

სასურსათო სახ. კომისარიატის ცნობებით 10 იანვრისთვის, სასურსათო გადასახადის მუშაობის მსვლელობა შემდეგნაირათაა: საუკეთესო მაზრები სასურსათო მუშაობით შემდეგია: ახალქალაქის, ახალ-ციხის ტფილისის, თელავის, დუშეთის, სიღნაღის და ბორჩალოსი, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები, გარდა გორის მაზრისა.

ახალქალაქის მაზრა. შემოსულია: ხორბალი—2071 ფ. 27 გ. ქერი—1653 ფ. 16 გ. კარტოფილი—1881 ფ. 1 გ. ერბო 19 ფ. 30 გ. ყველი—27 ფ. 28 გ. მატყლი—50 ფ. 36 გ. ხორცი 168 ფ. 13 გ. ლობიო—28 ფ. 34 გ. და ვაშლი—19 ფ. 30 გ. მცხოვრებლები ხალისით იხდიან გადასახადს; გამონაკლისს შეადგენენ დუხობოროები, რომლებიც რუსეთში გადასახლების განზრახვის გამო, აძლევს შუამდგომლობა გადასახადისაგან მათი სრულიად განთავისუფლების შესახებ. ერთ-ერთი შემკრები პუნქტი იხურება, რადგან რაიონში გადასახადი სავსებით შეგროვდა.

ახალციხის მაზრა. შემოსულია: ხორბალი—788 ფ. 10 გ., სიმინდი—686 ფ. 8 გ. ქერი—266 ფ. 19 გ. ერბო—3 ფ. 4 გ. ყველი—1 ფ. 23 გ. მატყლი 27 გ. კარტოფილი—1801 ფ. 22 გ., ლობიო 34 ფ. 35 გ. და ვაშლი 197 ფ.

ტფილისის მაზრა. შეკრებილია: ხორბალი—863 ფ. [illegible] გ. სიმინდი—480 ფ. 25 გ. ქერი—558 ფ. 13 გ. ერბო—1 ფ. 17 გ. ყველი—5 ფ. 8 ნახ. გ. მატყლი—3 ფ. 27 1/4 გ. კარტოფილი—1178 ფ. 13 გ. ლობიო—40 ფ. 29 ნახ. გ. ქერბალი—6 ფ. 7 ნახ. გ. ხახვი—289 ფ. 4 გ. ვაშლი 9 ფ. 20 გ. და მსხალი—3 ფ. 30 გ.

თელავის მაზრა: შეკრებილია: ხორბალი 1773 ფ. 23 გ. და ქერი—2 ფ. 21 გ. არაოფიციალური ცნობებით უკვე 6000 ფ. მარცვალია შეკრებილი. ელიან ას ვაგონამდი მარცვლის შეკრებას, უმთავრესათ ხორბლისას.

დუშეთის მაზრა. გადამხდელთა სიები შედგენილია და შეუდგნენ გადასახადის აკრებას.

სიღნაღის მაზრა. გადამხდელთა სიები შედგენილია საბოლოო სახით, შემდეგი ასეთია: ხორბალი—43422 ფ. 2 გ. სიმინდი—59368 ფ. 20 გ. ერბო—1377 ფ. 21 გ. ყველი—961 ფ. 11-ნახ. გ. ხორცი—7108 ფ. 53 1/4 გ. მატყლი—893 ფ. 24 1/2 გ. ღვინო—117390 ვედ. კარტოფილი—6563 ფ. 20 გ. კომბოსტო—1952 ფ. კაკალი—6 ფ. ვაშლი—47 ფ. შემოსვლის ცნობები მეკრების შესახებ.

ბორჩალოს მაზრა. სამაზრო სას. გადასახადის კომისიის ენერგიული მუშაობით მაზრა სასურსათო მუშაობაში საუკეთესო მაზრათა ჯგუფში იმყოფება. გადამხდელთა სიები შედგენილია და გაგზავნილი დანიშნულებისამებრ. სახლის პატრონთა სიები არ არის შედგენილი მხოლოდ ქ. შულავერში: 1000 სახლიდან რეგისტრაციაში გატარებულია ჯერ ჯერობით 500 გარდა ქ. შულავერისა, მთელ მაზრაში უნდა აიკრიბოს: ხორბალი—36616 ფ. 3 გ. სიმინდი 14364 ფ. 20 გ, კარტოფილი—24216 ფ. 4 გ. კომბოსტო—21585 ფ. 15 გ. ვაშლი—289 ფ. კაკალი—77 ფ. 38. გ. ერბო—3203 ფ. 19 გ. ყველი 727 ფ. 14 გ. ხორცი—7579 ფ. 25 გ. ღვინო—30928 ვედ. მატყლი—655 ფ. 20 გ. მთელ რიგ რაიონებში გადასახადის აკრება დაიწყო. მცხოვრებნი გადასახადი შეაქვთ; გამონაკლისს აქაც დუხობორთა კომუნები შეადგენენ.

აღნიშნულ მაზრებს მისდევენ გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ახალ-სენაკის, ოზურგეთის, შორაპნის და სამხრეთ ოსეთი.

დ. კელენჯერიძის [illegible]

იანვრის 22 [illegible] 12 [illegible] ლიკულად გარდაიცვალა სახელოვანი მებრძოლი და უანგარო მამულიშვილი დათიკო კელენჯერიძე.

ეს ის ახალგაზრდა იყო, რომელმაც მიუხედავად მისი მცირე წლოვანებისა შესძლო და მოიხადა თავისი ვალი ქართველი ერისა და ხალხის წინაშე. გარდა იმისა რომ, ის ზედმიწევნით უყვარდა თავის ამხანაგებს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გიმნაზიის კედლებში იმყოფებოდა, ეს სიყვარული და პატივისცემა გასკეცდა ჩვენში მას შემდეგ, რაც მან თავის საყვარელი ერის სამსხვერპლოზე მიიტანა თავისი ახალგაზრდული ენერგია და საარაკო გმირული ბრძოლებით ასახელა ქართველი ახალგაზრდობა.

დღეს კი აღარა გვყავს.

თვალცრემლიანნი გემშვიდობებით ძვირფასო მეგობარო დათიკო და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ შენი მაგალითი იქნება ჩვენთვის და ჩვენც ვიბრძოლებთ ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის.

აკაკი ცქიტიშვილი.

კვების დარგის პროფკავშირი

დასრულდა 1-ლი გაერთიანებული ყრილობა მწარმოებელი პროფკავშირთა მეთამბაქოების და კვება-ქიმიური წარმოებისა, რომელნიც გაერთიანდნენ ერთ მძლავრ პროფკავშირში კვება-გემო. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ 100 დელეგატი, მათგან კვებ ქიმიური წარმოებიდან 57, მათ რიცხვში 4 ქალი, და მეთამბაქოებიდან—43, მათ რიცხვში 13 ქალი. დელეგატების საერთო რიცხვიდან 61 კომუნისტია და 5 კანდიდატი. ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ამხ—ები ლენინი, ტროცკი, ლოზოვსკი, ფ. მახარაძე და ლადო დუმბაძე.

ყრილობამ უმუშევრობის საკითხის შესახებ წინადადება მისცა კავშირის ცენტრალურ გამგეობას შექმნან არტელები და საზოგადო სამუშაოები, რისთვისაც დაევალა დამოკიდებულება იქონიოს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოსთან მასზე, რომ ის ქარხნები, რომელნიც სუსტათ მუშაობენ და უნდა დაიხურონ ან იჯარით გაიცენ, გადაცემულ იქნენ უმუშევარ მუშებისათვის. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭო გადასცემს მუშებს წარმოებას მოწყობილებით და ნედლი მასალით, რისთვისაც მიიღებს განსაზღვრულ პროცენტს. პირველდაწყებითი თანხისათვის შეიძლება ერთდროულად გამოერიცხოს კავშირის ყოველ წევრს, როგორც დახმარება უმუშევრებს. არტელებს გარდა აუცილებელია საზოგადო სამუშაოების შექმნა, რისთვისაც ცენტრალურმა გამგეობამ უნდა იშუამდგომლოს შრომის სახ. კომისარიატთან. დადგენილ იქნას, პირველ რიგში გადახდეს კავშირის ყოველ წევრს უმუშევართა სასარგებლოთ ხელფასის 1-პროც. შტატების შემოკლების გამო თამბაქოს წარმოებაში 300-ზე მეტი უმუშევარია და 150 კვება ქიმიურში. ჯერჯერობით მთელი რეალური დახმარება გამოიხატა დღეში 1-ნახ. გ. პურის მიცემით.

ვოლგის მხრის დამშეულთა დახმარებისათვის ყრილობამ დაბეგრა ყველა დელეგატები 20000 მანეთით და დაავალა ცენტრ. გამგეობას გამოერიცხოს ჯამაგირიდან კავშირის ყოველ წევრს 1-% ყოველთვიურათ, შიმშილობის საბოლოო ლიკვიდაციამდი. ცენტრ. გამგეობაში არჩეული არიან ამხ-ები: არსენტოვი, გოზალოვი, ფრიდონოვი, არჩვაძე, არხიმანდრიტოვი, ბაბლუმოვი, კვენცაძე, ხაჩიკიანი, ბასიჩენკო, უხანიანი, მელიქსეტოვი, ბადრიძე, მიხაილოვი, შახბუდაგოვი, გიორგობიანი, ავანსოვი, შევდიევი, იორდანიდი, ლეკისიშვილი, მირონოვი და არაბაჯანოვი, და მათ კანდიდატებათ:—კართიანი, დოგუნოვისა, როდლევსკი, გონჩაკი და რუფი. სარევიზიო კომისიაში არჩეულია: ციტოხცევი, ჩილინგაროვი, ნოვრუზოვი, და მათ კანდიდატებათ: ხმრიანი და პეშკოვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

[illegible] [illegible] 14,